საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/146 “ 18 ” ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ლ. ცაგარეიშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, ლელა ცაგარეიშვილი 2020 წლის 1 დეკემბრიდან გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა
ლელა ცაგარეიშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისის №1/89 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 8 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2020 წლის 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 29 კანდიდატი.

2020 წლის 24 ივლისიდან 21 აგვისტომდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის ლელა ცაგარეიშვილზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 24 აგვისტოს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

ლელა ცაგარეიშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება. იგი მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე.

ლელა ცაგარეიშვილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-14 ჯგუფის კურსდამთავრებულია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ლელა ცაგარეიშვილმა წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირებისა და სემინარული მუშაობის ეტაპები, ასევე წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. კანდიდატი იყო დისციპლინირებული მსმენელი. ის გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით და პრეზენტაციის კარგი უნარით.

სკოლაში სწავლის პერიოდში მას არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ ლელა ცაგარეიშვილს გაესაუბრნენ 21 ოქტომბერს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

კანდიდატ ლელა ცაგარეიშვილთან მიმართებით თვითაცილება განაცხადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა შ. ქადაგიძემ. შესაბამისად, 2020 წლის 5 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში კანდიდატი კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით შეაფასა საბჭოს 14-მა წევრმა.

ლელა ცაგარეიშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, შემფასებელმა ყველა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ ლელა ცაგარეიშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1201 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 85.79%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2020 წლის 18 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მე-2 ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელში მონაწილეობა საბჭოს 13-მა წევრმა მიიღო, ლელა ცაგარეიშვილმა მოიპოვა 11 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 27 კანდიდატი, მათგან 1 მოქმედი მოსამართლე, 9 ყოფილი მოსამართლე და 17 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბებიაშვილი მიხეილ - 0 ხმა
2. ბერეკაშვილი ქეთევან - 0 ხმა
3. გიორგაძე ნინო - 1 ხმა
4. გოგატიშვილი ნინო - 0 ხმა
5. გოგოლაძე ირინა - 0 ხმა
6. დუგლაძე ქეთევან - 1 ხმა
7. ეპიტაშვილი თეონა - 0 ხმა
8. ესებუა ზვიად - 0 ხმა
9. ვატიტაძე გრიგოლ - 0 ხმა
10. ზათიაშვილი ვერიკო - 0 ხმა
11. ზვიადაძე გიორგი - 0 ხმა
12. კლდიაშვილი ლაშა - 0 ხმა
13. კობახიძე ნანა - 0 ხმა
14. კოპალიანი კონსტანტინე - 0 ხმა
15. კოჭლამაზაშვილი არჩილ - 0 ხმა
16. მარშანია ნათია - 0 ხმა
17. მერაბიშვილი ნათია - 0 ხმა
18. ნადიი რეზო - 0 ხმა
19. ოტიაშვილი ბაია - 0 ხმა
20. უბილავა გიზო - 0 ხმა
21. ურთმელიძე თამაზ - 0 ხმა
22. ფუხაშვილი მორის - 0 ხმა
23. შოშიაშვილი მაია - 0 ხმა
24. ჩაგუნავა კობა - 0 ხმა
25. ცაგარეიშვილი ლელა - 11 ხმა
26. ხუსკივაძე ირაკლი - 0 ხმა
27. ჯინჯოლია მიხეილ - 0 ხმა

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - ლელა ცაგარეიშვილის კეთილსინდისიერების (საბჭოს შემფასებელმა ყველა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (სამართლებრივი ნორმების ცოდნის, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის, წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 26 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა ლელა ცაგარეიშვილი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი